პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

მსოფლიო პრაქტიკა

ივლისი / 2023

მთავარი სიახლეები

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (“ECtHR”) სახის ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ დარღვევა დაადგინა

“ICO”-მ ჟურნალისტური საქმიანობის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით პრაქტიკის კოდექსი გამოაქვეყნა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (“ECtHR”) პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევისთვის გათვალისწინებული კომპენსაციის ოდენობაზე იმსჯელა

ბრიტანეთის პოლიციამ სოციალურ ქსელ “Facebook”-ს დაზარალებული პირების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები გაუზიარა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (“ECtHR”) სახის ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ დარღვევა დაადგინა

04.07.2023

“*Glukhin v. Russia”* (საჩივრის №11519/20) საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, გამოძიების პროცესში, მშვიდობიანი დემონსტრაციის ჩატარებისას ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობილი მომჩივანი პირის მიმართ პოლიციის მიერ სახის ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების გამო, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ დარღვევა დაადგინა.

ფოტო: coe.int

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

მომჩივანმა რუსეთის მოქალაქემ, ნიკოლაი სერგეის ძე გლუხინმა საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2020 წლის 31 იანვარს წარადგინა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, 2020 წლის პირველი სექტემბრისთვის მოსკოვში განთავსებული ყველა ვიდეომეთვალყურეობის კამერა (დაახლოებით 175 000), ხოლო 2022 წლისთვის — 220 000-ზე მეტი ერთეული, იყო აღჭურვილი რეალურ დროში სახის ამომცნობი ტექნოლოგიით.

2019 წლის 12 აგვისტოს დააკავეს და ბრალი წაუყენეს პოლიტიკურ აქტივისტს, კონსტანტინ კოტოვს, რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „საჯარო ღონისძიებების“ წესების განმეორებით დარღვევისთვის. მისმა დაკავებამ და მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამ მედიისა და საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო და საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია.

2019 წლის 23 აგვისტოს მომჩივანი კონსტანტინ კოტოვის რეალური ზომის მუყაოს ფიგურით მოსკოვის მეტროში გადაადგილდებოდა, ასევე, ხელში ეჭირა ბანერი, რომელზეც აღნიშნული იყო, რომ მას მშვიდობიანი საპროტესტო აქციების გამო ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.

პოლიციის ანგარიშების თანახმად, 2019 წლის 24 აგვისტოს „ინტერნეტის რუტინული მონიტორინგის“ დროს, მათ აღმოაჩინეს მამაკაცის ფოტოსურათი, რომელიც მეტროსადგურში მუყაოს ფიგურითა და ბანერით გადაადგილდებოდა. აღნიშნულის შემდგომ, პოლიციის შესაბამისმა ჯგუფმა საკომუნიკაციო აპლიკაცია “Telegram”-ის საჯარო არხზე განთავსებულ მომჩივნის ფოტოებს და ვიდეოს, ე. წ. „სკრინშოტები“ გადაუღო. პოლიციამ ვიდეოჩანაწერები ასევე მოიპოვა ზოგიერთი მეტროსადგურის ვიდეომეთვალყურეობის კამერებიდან. მამაკაცის იდენტიფიცირებისთვის „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის“ განხორციელების შედეგად პოლიციამ წარმატებით დაადგინა მომჩივნის ვინაობა და მისი საცხოვრებელი მისამართი. მომჩივნის განმარტებით, 2019 წლის 30 აგვისტოს იგი მეტროსადგურში

დააკავეს. საქმეში არსებულ გარემოებებზე დაყრდნობით, პოლიციის მიერ მომჩივნის იდენტიფიცირება მოსკოვის მეტროში დამონტაჟებული სახის ამომცნობი ვიდეომეთვალყურეობის კამერების გამოყენებით განხორციელდა.

მომჩივნის წინააღმდეგ ადმინისტრაციული წარმოებისას "Telegram"-ის არხის ეკრანის სურათები და ვიდეომეთვალყურეობის კამერის ჩანაწერები მტკიცებულებად იქნა გამოყენებული. იგი სამართალ-დამრღვევად მიიჩნიეს და დააჯარიმეს იმ მიზეზით, რომ მან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აცნობა „სწრაფად ასაწყობი/დასაშლელი ობიექტის" გამოყენებით დემონსტრაციის მოწყობის შესახებ. მომჩივანმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა, თუმცა მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა (§§2-17).

ფოტო: freepik.com

✅ კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

(ა) დაცულ სფეროში ჩარევა

ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა მომჩივნის მიერ სახის ამომცნობი ტექნოლოგიის გამოყენების ფაქტის მტკიცებასთან დაკავშირებული გამოწვევები. შიდა კანონმდებლობა პოლიციას სახის ამომცნობი ტექნოლოგიის გამოყენების შესახებ ჩანაწერების გაკეთებას ან დაინტერესებული პირისთვის ნებისმიერ ასეთ ჩანაწერზე წვდომის უზრუნველყოფას არ ავალდებულებდა. მიუხედავად იმისა, რომ "Telegram"-ზე გამოქვეყნებული ფოტოები და ვიდეო არ შეიცავდა რაიმე ინფორმაციას, რომელიც მომჩივნის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლეოდა, იგი პოლიციამ ორ დღეზე ნაკლებ ვადაში ამოიცნო. მომჩივნის ასე სწრაფად იდენტიფიცირებისთვის გამოყენებული ზომების შესახებ განმარტებები არ გაკეთებულა. გარდა ამისა, მთავრობამ პირდაპირ არ უარყო სახის ამომცნობი ტექნოლოგიის გამოყენება და არც მომჩივნის იდენტიფიცირებისათვის მიღებული ზომები განმარტა. ამასთანავე, მთავრობის მითითება შესაბამის სამართლებრივ საფუძველზე, მათ შორის, დადგენილებაზე, რომელიც სამიზნე პირის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების მეშვეობით იდენტიფიცირების მიზნით მოსკოვის მეტროში კამერების დამონტაჟებას ითვალისწინებდა, შესაძლებელია, განმარტებულიყო რეალურ დროში სახის ამომცნობი ტექნოლოგიის არაპირდაპირ აღიარებად (§§69-71).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გამოყენებულ იქნა სახის ამომცნობი ტექნოლოგია. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პოლიციის მიერ ფოტოების შენახვა, მათზე სახის ამოცნობის ტექნიკების გამოყენების შესაძლებლობასთან ერთად, პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევას წარმოადგენს (§72). შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოებისას (მათ შორის, იდენტიფიცირებისთვის სახის ამომცნობი ტექნოლოგიის გამოყენება, მოგვიანებით მომჩივნის პოვნა და დაკავება) მომჩივნის პერსონალური

მონაცემების დამუშავება შეფასდა, როგორც ჩარევა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში (§73).

(ბ) ჩარევის გამართლება

მიუხედავად იმისა, რომ შიდა კანონმდებლობაში ჩარევას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, ევროპული სასამართლოსთვის საეჭვო იყო, აკმაყოფილებდა თუ არა იგი „კანონის ხარისხის“ მოთხოვნას. შიდა კანონმდებლობა არ შეიცავდა რაიმე შეზღუდვას იმ გარემოებებთან დაკავშირებით, როდესაც სახის ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებელი იყო, კერძოდ, მიზნების, სამიზნე ადამიანთა კატეგორიების ან სენსიტიური პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. გარდა ამისა, მთავრობას არ უხსენებია რუსეთში სახის ამომცნობი ტექნოლოგიის გამოყენების პროცედურული გარანტიების არსებობის შესახებ, როგორიცაა ავტორიზაციის, მიღებული მონაცემების შესწავლის, გამოყენებისა და შენახვის პროცედურები, ზედამხედველობითი კონტროლის მექანიზმები და ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებები (§§81, 83).

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახის ამომცნობი ტექნოლოგიის დანერგვის კონტექსტში, მნიშვნელოვანი იყო ღონისძიებების ფარგლებისა და გამოყენების თაობაზე დეტალური წესების არსებობა, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და თვითნებობის რისკისგან დაცვის ძლიერი გარანტიები, ასევე, რეალურ დროში სახის ამომცნობი ტექნოლოგიის გამოყენებისას უფრო მაღალი იქნებოდა დამცავი ღონისძიებების საჭიროება (§82).

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის წინააღმდეგ მიღებული ღონისძიებები განსაკუთრებით შემზღუდავი იყო რეალურ დროში სახის ამომცნობი ტექნოლოგიის გამოყენების გამო. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო დასაბუთების მაღალი დონის არსებობა, რათა ღონისძიებები მიჩნეულიყო „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“. ამასთან, ამგვარი ტექნოლოგიის გამოყენებისთვის საჭირო იყო მტკიცების უმაღლესი ხარისხი. გარდა ამისა, დამუშავებული პერსონალური მონაცემები შეიცავდა ინფორმაციას მომჩივნის მშვიდობიან საპროტესტო აქციაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, რამაც გამოავლინა მისი პოლიტიკური შეხედულება. შესაბამისად, იგი მოექცა სენსიტიური მონაცემების სპეციალურ კატეგორიებში, რომლებიც დაცვის მაღალ დონეს ითვალისწინებს (§§ 84, 86).

რუსეთის შიდა კანონმდებლობა ნებისმიერი დანაშაულის გამოძიებასა და დევნასთან დაკავშირებით ბიომეტრიული პერსონალური მონაცემების დამუშავების საშუალებას იძლეოდა, განურჩევლად მისი ბუნებისა და სიმძიმისა. მომჩივანი სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი წვრილმანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის, რაც საზოგადოებრივი წესრიგისა და სატრანსპორტო უსაფრთხოებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა. მშვიდობიანი საპროტესტო აქციების მონაწილეთა იდენტიფიცირებისა დაპატიმრების მიზნით უაღრესად ინვაზიური სახის ამომცნობი ტექნოლოგიის გამოყენებას შესაძლებელია, ე.წ. „მსუსხავი ეფექტი“ ჰქონოდა გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების უფლებებთან მიმართებით (§§87-88).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული წარმოების

ფარგლებში სახის ამომცნობი ტექნოლოგიის გამოყენებით პერსონალური მონაცემების დამუშავება - ერთი მხრივ, მომჩივნის იდენტიფიცირება „Telegram“-ზე გამოქვეყნებული ფოტოებიდან და ვიდეოდან, ხოლო მეორე მხრივ, მისი პოვნა და დაკავება მოსკოვის მეტროში მგზავრობის დროს – არ შეესაბამებოდა „აუცილებელ სოციალურ საჭიროებას“ და არ იქნა მიჩნეული „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“. შესაბამისად, საქმეზე ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის („პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება“) დარღვევა დადგინდა (§§ 89-91).

✅ კონვენციის სხვა მუხლების სავარაუდო დარღვევა

მომჩივანი აცხადებდა, რომ მის წინააღმდეგ განხორციელებული ადმინისტრაციული სამართალწარმოებით კონვენციის მე-10 („გამოხატვის თავისუფლება“) და მე-11 („შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება“) მუხლებით გარანტირებული უფლებები დაირღვა. ევროპულმა სასამართლომ მომჩივნის აღნიშნული საჩივარი მხოლოდ კონვენციის მე-10 მუხლის კონტექსტში განიხილა (§47). საქმეზე დადგინდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა, რადგან შიდა სასამართლოებმა ვერ დაასახელეს „შესაბამისი ან საკმარისი მიზეზები“ მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის გასამართლებლად (§§56-57).

გარდა ამისა, მომჩივანი კონვენციის მე-6 მუხლის („საქმის სამართლიანი განხილვის უფლება“) მიხედვით, ასევე ასაჩივრებდა, რომ მის წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალწარმოება უსამართლო იყო. საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მხარეთა არგუმენტებისა და მე-8 და მე-10 მუხლებზე მიღებული დასკვნების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით საჩივრის ცალკე შესწავლა საჭიროდ არ მიიჩნია (§92).

“ICO”-მ ჟურნალისტური საქმიანობის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით პრაქტიკის კოდექსი გამოაქვეყნა

27.07.2023

გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (“ICO”) ჟურნალისტური საქმიანობის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხზე პრაქტიკის კოდექსი მიიღო. “ICO”-ს მიერ ორგანიზაციებისა და ინდივიდებისთვის პერსონალური მონაცემების ჟურნალისტური მიზნებისთვის დამუშავებასთან დაკავშირებით პრაქტიკის კოდექსის შემუშავების მოთხოვნა მონაცემთა დაცვის 2018 წლის აქტიდან გამომდინარეობდა. პრაქტიკის კოდექსი 2023 წლის 6 ივლისს მეცნიერების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის სახელმწიფო მდივანს გაეგზავნა. კოდექსის ამოქმედებისათვის, საჭიროა, რომ სახელმწიფო მდივანმა იგი პარლამენტს წარუდგინოს.

კოდექსი პერსონალურ მონაცემთა ჟურნალისტური მიზნებისთვის დამუშავების თაობაზე მედია ორგანიზაციებისა და ჟურნალისტებისთვის, მათ შორის, პრესის, მაუწყებლებისა და ონლაინ მედიასაშუალებებისთვის ქმედითი და პრაქტიკული მითითებების მიწოდებისათვის შემუშავდა. იგი მიღებული იქნა ფართომასშტაბიანი კონსულტაციების შედეგად, მედია ორგანიზაციების, სფეროს წარმომადგენლებისა და სამოქალაქო

საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინებით. ძირითად მიზანს პრესის თავისუფლებასა და ინდივიდთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის ბალანსის მიღწევა წარმოადგენდა.

ჟურნალისტური საქმიანობის შესახებ კოდექსი პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობას ეხება, ხოლო მედია სტანდარტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ჟურნალისტური საქმიანობის მომწესრიგებელ სხვა კოდექსებში.

პრაქტიკის კოდექსი დაინტერესებულ პირებს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის, განსაკუთრებით კი მონაცემთა დამუშავების პრინციპების გაგებაში დაეხმარება. ამასთანავე, დოკუმენტში პრაქტიკული საკითხები ჟურნალისტურ კონტექსტშია განმარტებული, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით.

ჟურნალისტური საქმიანობის თაობაზე პრაქტიკის კოდექსი შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- ☑ მონაცემთა კანონიერად, სამართლიანად, ზუსტად და გამჭირვალედ დამუშავება;
- ☑ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვა;
- ☑ კონკრეტული მიზნის მისაღწევად მონაცემთა დამუშავება;
- ☑ მონაცემთა მხოლოდ იმ მოცულობით დამუშავება, რაც საჭიროა კონკრეტული მიზნის მისაღწევად;
- ☑ მონაცემთა მხოლოდ განსაზღვრული ვადით შენახვის აუცილებლობა;
- ☑ მონაცემთა სუბიექტებისა და მესამე პირებისთვის უფლების დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა და სხვა.



ფოტო: ico.org.uk

“ICO”-მ ასევე გამოაქვეყნა შენიშვნები, რომელშიც გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციისა (“UK GDPR”) და „მონაცემთა დაცვის აქტის“ (“DPA 2018”) შესახებ დამატებითი ინფორმაცია და კარგი პრაქტიკის მაგალითებია მოცემული. ამასთან, განხილულია სასამართლოს გადაწყვეტილებები.



ფოტო: ico.org.uk

ასევე, აღსანიშნავია, რომ დანერგილია სპეციალური პროცედურა იმის შესაფასებლად, თუ როგორ გამოიყენება პერსონალური მონაცემები ჟურნალისტური საქმიანობის სფეროში. პირველი საანგარიშო პერიოდი 2018 წლის 25 მაისს დაიწყო და ოთხი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. შედეგების შესახებ ანგარიში სახელმწიფო მდივანს წარედგინება. შემდგომი საანგარიშო პერიოდი ხუთი წლის განმავლობაში

გაგრძელდება. აღნიშნული პროცედურა “ICO”-ს კოდექსის პრაქტიკაში მუშაობის შეფასებაში დაეხმარება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (“ECtHR”) პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევისთვის გათვალისწინებული კომპენსაციის ოდენობაზე იმსჯელა

04.07.2023

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ფოტო: coe.int

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა რუმინეთის მოქალაქის, აბდალა-ხალიდ შამატის საჩივარი (საქმე: Shammat v. Romania, No. 15807/14) საგადასახადო ვალდებულებებიდან გამომდინარე მისი პერსონალური მონაცემების ადგილობრივ გაზეთში თანხმობის გარეშე გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

ადგილობრივი გაზეთის, „Curierul de Ciumeghiu“-ის 2010 წლის თებერვლის, მარტის და დეკემბრის თვის გამოცემებში გამოქვეყნებული ინფორმაცია მოიცავდა ისეთ პერსონალურ მონაცემებს როგორიცაა: განმცხადებლის სრული სახელი, სახლის მისამართი და საგადასახადო დავალიანების ოდენობა. გაზეთში სტატიები დაიბეჭდა შემდეგი სათაურებით: „გადასახადებისთვის თავის ამრიდებელთა სრული სია“, „საგადასახადო ვალდებულებების დამრღვევები“ და ა.შ.

2011 წლის 12 ოქტომბერს მონაცემთა სუბიექტებმა დელიქტური სარჩელით მიმართეს სასამართლოს და ადგილობრივი ხელისუფლებისგან მოითხოვეს საჯარო ბოდიშის მოხდა და მათ სასარგებლოდ 10,000 ევროს ოდენობით კომპენსაციის დაკისრება პირადი მონაცემების უკანონო გამოქვეყნებით გამოწვეული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

მოსარჩელეები არ უარყოფდნენ მათ ვალდებულებას, და მიუთითებდნენ, რომ ფინანსური სიძნელეების გამო, მათ დროულად ვერ გადაიხადეს საგადასახადო დავალიანება. თუმცა, ადგილობრივმა საგადასახადო ორგანომ ჩათვალა, რომ საჭირო იყო დამატებითი სანქციების დაწესება გადასახადის გადამხდელთათვის და მათი პერსონალური მონაცემები გამოაქვეყნეს ადგილობრივ გაზეთში, რაც უკანონო იყო, მონაცემთა სუბიექტების თანხმობის არარსებობის პირობებში.

განმცხადებლები მიიჩნევდნენ, რომ ორგანოს ქმედება არღვევდა მათი კონფიდენციალობის უფლებას და მოითხოვდნენ უკანონო გამოქვეყნებით გამოწვეული მორალური ზიანისთვის კომპენსაციას, ვინაიდან, საჯაროდ გადასახადების გადამხდელთა შერცხვენის პრაქტიკა ზიანს აყენებდა მის რეპუტაციას.

როგორც მოგვიანებით დადგინდა, ორი მოსარჩელის პერსონალური მონაცემები (სრული სახელი და სახლის მისამართი) მათი თანხმობის გარეშე გამოქვეყნდა ადგილობრივი გაზეთის სამ გამოცემაში.

გადასახადის გადამხდელთა სიის გამოქვეყნება არ წარმოადგენდა არც საზოგადოებრივ ინტერესებს და არც სახელმწიფო ხელისუფლების

პრეროგატივას; ამასთან, სახელების, მისამართების და საგადასახადო დავალიანების ოდენობის გამოქვეყნების გამო არამატერიალური ზიანი ცალსახა იყო, იმის მიუხედავად, რომ მათ ვერ დაადასტურეს ის ფაქტი, რომ საზოგადოების აღქმა მათზე შეიცვალა პუბლიკაციის გამოქვეყნების შედეგად.

ეროვნულმა სასამართლოებმა საქმის განხილვისას დაადგინეს განმცხადებლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით. ასევე დადგინდა, რომ საჯარო ბოდიშის მოხდა შესაძლოა აღარც ყოფილიყო რელევანტური, იმის გათვალისწინებით, რომ მონაცემები უკანონოდ გამოქვეყნდა ორი წლით ადრე. აქედან გამომდინარე, კომპენსაციის გადახდა სასამართლომ მიიჩნია მოსარჩელის სამართლიანი და გონივრული დაკმაყოფილების საშუალებად.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმცხადებლების სასარგებლოდ მოპასუხეს დააკისრა 1000 ევრო, თუმცა სააპელაციო სასამართლომ ოდენობა 50 ევრომდე შეამცირა. მეორე ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას არ უნდა ჰქონდეს სადამსჯელო ეფექტი, კომპენსაცია მიზნად უნდა ისახავდეს ზიანის გამოსწორებას და არა მსხვერპლის გამდიდრებას.

მოგვიანებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საგადასახადო ვალდებულების შესახებ ინფორმაცია წარმოადგენდა პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროს და ამასთან, კომპენსაციის შემცირებული ოდენობა არასაკმარისი იყო მიყენებული ზიანის გამოსასწორებლად. სასამართლომ განმცხადებელი მიიჩნია მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებების დარღვევის „მსხვერპლად“. შესაბამისად, დაადგინა, რომ განმცხადებლის პერსონალური მონაცემების დამუშავება წარმოადგენს ჩარევას მის პირად ცხოვრებაში, რაც არ იყო არც „კანონის შესაბამისი“ და არც პროპორციული, ვინაიდან არღვევდა მონაცემთა დაცვის შესახებ რეგულაციებს. კომპენსაციის განსაზღვრის პრაქტიკასთან მიმართებით, სასამართლომ მიუთითა მსგავს საქმეებზე, სადაც კომპენსაციის სახით მოპასუხეს დაეკისრა 6000 ევროდან 7500 ევრომდე რაოდენობის თანხის ანაზღაურება (*Dupate v. Latvia*, no. 18068/11, § 80, 19 ნოემბერი, 2020; და *Samoylova v. Russia*, no. 49108/11, § 108, 14 დეკემბერი, 2021).

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას და სახელმწიფოს დააკისრა 5000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ანაზღაურებისთვის. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მსჯელობის საკითხი მოიცვა თუ რამდენად მიეცა განმცხადებელს სათანადო და სამართლიანი ანაზღაურება ეროვნულ დონეზე, რომლის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა და მიღების შესაძლებლობა. მოპასუხე სახელმწიფოს დაევალა სამი თვის განმავლობაში სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება.

ბრიტანეთის პოლიციამ სოციალურ ქსელ "Facebook"-ს დაზარალებული პირების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები გაუზიარა

18.07.23

ფოტო: bigissue.com

დიდი ბრიტანეთის საპოლიციო სტრუქტურული ერთეული — მეტროპოლიტენის პოლიცია იმ პირების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს აგროვებდა, რომლებიც პოლიციას ვებგვერდის საშუალებით სექსუალური შევიწროებისა და ოჯახური ძალადობის შესახებ შეტყობინებებს გადასცემდნენ. აღნიშნული ინფორმაცია პოლიციის მიერ მუშავდებოდა, ხოლო შემდგომში გადაეცემოდა სოციალურ ქსელ "Facebook"-ს მიზნობრივი რეკლამისთვის. აღსანიშნავია, რომ იმავე პრაქტიკას ახორციელებდა შოტლანდიის პოლიციაც.

დაზარალებულებისა და მოწმეების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება და შემდგომ მესამე პირისთვის, მოცემულ შემთხვევაში კი სოციალურ ქსელ "Facebook"-ისთვის გადაცემა, პოლიციის მიმართ ნდობას მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა. ამასთანავე, პირები, რომლებიც დანაშაულების შესახებ ინფორმაციას პოლიციას ვებგვერდის საშუალებით აწვდიდნენ, მიიჩნევდნენ, რომ მათი პერსონალური მონაცემები განსაკუთრებული სიფრთხილითა და კონფიდენციალურობის დაცვით მუშავდება. შესაბამისად, თვალთვალის ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა "Meta Pixel", პერსონალური მონაცემების დამუშავება და გაზიარება ინდივიდების თანხმობისა და ცოდნის გარეშე ხორციელდებოდა.

პერსონალურ მონაცემთა ამგვარად დამუშავება, რისკის ქვეშ აყენებს პოლიციის რეპუტაციას, რამაც შემდგომში შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს დანაშაულთან ბრძოლის პროცესზე, აგრეთვე, დაზარალებულების მიერ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის პოლიციისთვის გადაცემაზე, ვინაიდან მათ ექნებათ განცდა, რომ აღნიშნული ინფორმაცია შემდგომში მათი ნებართვის გარეშე დამუშავდება და გაზიარდება მესამე პირებზე.

ბრიტანეთის საზედამხედველო ორგანომ — "ICO"-მ უკვე დაიწყო აღნიშნული ფაქტის შესწავლა. "ICO" ყურადღებას ამახვილებს კონფიდენციალობის დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე. მნიშვნელოვანია, რომ საპოლიციო ორგანოებმა პრიორიტეტი მიანიჭონ პერსონალური მონაცემების დაცვას და უზრუნველყონ გამჭვირვალე კომუნიკაცია მონაცემთა შეგროვების, შენახვისა და გამოყენების შესახებ.

აღნიშნულმა პრეცედენტმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა მკაცრი რეგულაციების და ანგარიშვალდებულების აუცილებლობა ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხორციელდება პერსონალური მონაცემების ონლაინ დამუშავება. გამჭვირვალობა პრიორიტეტულია სამართალდამცავ ორგანოებსა და საზოგადოებას შორის ნდობის აღსადგენად, ხოლო პერსონალურ მონაცემთა დაცვის მომწესრიგებელი აქტები ეფექტიანად უნდა აღსრულდეს, რათა თავიდან იქნას აცილებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების არაავტორიზებული გაზიარება. აღნიშნული კი უზრუნველყოფს დაზარალებული პირებისა და მოწმეების ნდობის ამაღლებას, რომელიც ხელს შეუწყობს გამოძიების პროცესს და დამნაშავის მიმართ სათანადო ღონისძიებების გატარებას.

“CJEU”-ს განმარტებით, კონკურენციის მაკონტროლებელ ეროვნულ ორგანოს შეუძლია, დაადგინოს “GDPR“-ის მოთხოვნებთან შეუსაბამობა კონკურენციის წესების დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეში

04.07.2022

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (“CJEU”) განმარტა, რომ კონკურენციის მაკონტროლებელ ეროვნულ ორგანოს უფლება აქვს, დაადგინოს მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (“GDPR”) მოთხოვნებთან შეუსაბამობა კონკურენციის წესების დარღვევასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას.

ფოტო: european-union.europa.eu

ფაქტობრივი გარემოებები

“Meta Platforms Ireland” მართავს სოციალურ ქსელ “Facebook”-ს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. სოციალურ ქსელ “Facebook”-ზე რეგისტრაციისას მისი მომხმარებლები ეთანხმებიან აღნიშნული კომპანიის მიერ შედგენილ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებსა და მონაცემთა დამუშავებისა და მზა ჩანაწერების გამოყენებასთან დაკავშირებულ პოლიტიკას. ხსენებული პოლიტიკის თანახმად, “Meta Platforms Ireland” აგროვებს მონაცემებს მომხმარებლის საქმიანობის შესახებ სოციალურ ქსელსა და მის გარეთ და აკავშირებს მათ შესაბამისი მომხმარებლების “Facebook” ანგარიშებთან. ეს უკანასკნელი მონაცემები, რომლებიც ასევე ცნობილია როგორც "Facebook”-ის მონაცემები, არის მონაცემები მესამე მხარის ვებგვერდებსა და აპლიკაციებში ვიზიტებთან დაკავშირებით, ისევე როგორც მონაცემები სხვა ელექტრონული სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლებიც მიეკუთვნება “Meta” ჯგუფს (მათ შორის, “Instagram” და “WhatsApp”). ამგვარად შეგროვებული მონაცემები ემსახურება “Facebook”-ის მომხმარებლებისთვის პერსონალიზებული სარეკლამო შეტყობინებების შექმნას.

4 ივლისს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქმეზე — „Meta პლატფორმები და სხვები გერმანიის ფედერალური კარტელების ოფისის (შემდგომში — „კარტელების ოფისი“) წინააღმდეგ“. სასამართლომ განმარტა, რომ „კარტელების ოფისმა” აკრძალა გერმანიაში მცხოვრები ფიზიკური პირების მიერ “Facebook”-ის გამოყენებით მათი “Facebook”-ს გარე (“off-Facebook”) მონაცემების გამოყენებისა და მათი თანხმობის გარეშე დამუშავების პრაქტიკა, ვინაიდან მიიჩნია, რომ “Meta”-ს მიერ მონაცემების დამუშავება არ შეესაბამებოდა “GDPR”-ს. „კარტელების ოფისის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ წამოყენებული სარჩელის განხილვისას, უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ მიმართა “CJEU”-ს თხოვნით, დაედგინა, შეუძლიათ თუ არა კონკურენციის მაკონტროლებელ ეროვნულ ორგანოებს განიხილონ, თუ რამდენად შეესაბამება მონაცემთა დამუშავების მოქმედება

“GDPR”-ით დადგენილ მოთხოვნებს, სხვა საკითხებთან ერთად.

“CJEU”-ს განმარტებები და მიღებული გადაწყვეტილება

“GDPR”-ის თანმიმდევრული გამოყენების უზრუნველსაყოფად, კონკურენციის მაკონტროლებელ ორგანოებს მოეთხოვებათ, გასწიონ კონსულტაციები და ითანამშრომლონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ეროვნულ ორგანოებთან. კერძოდ, როდესაც კონკურენციის მაკონტროლებელი ორგანო მიიჩნევს, რომ აუცილებელია შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა საწარმოს ქმედება “GDPR”-ს, მან უნდა დაადგინოს, ეს ან მსგავსი ქმედება უკვე იყო თუ არა კომპეტენტური სამეთვალყურეო ორგანოს ან სასამართლოს განხილვის საგანი. თუ აღნიშნული საკითხი უკვე განხილულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ან სასამართლოს მიერ, კონკურენციის მაკონტროლებელმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს მათი გადაწყვეტილებები, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს კონკურენციის მაკონტროლებელი ორგანოს უფლებამოსილების შეზღუდვას, გამოიტანოს საკუთარი დასკვნები კონკურენციის მარეგულირებელი კანონის გამოყენებასთან დაკავშირებით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საწარმოს მიერ დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების შემოწმების კონტექსტში შესაძლოა, საჭირო გახდეს, რომ შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კონკურენციის მაკონტროლებელმა ორგანომ შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა ამ საწარმოს ქმედებები კონკურენციის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან დაკავშირებულ სხვა წესებს, მათ შორის “GDPR”-ს. სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული უფლებამოსილება არ გულისხმობს, რომ კონკურენციის მაკონტროლებელი ეროვნული ორგანო ცვლის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს და აკონკრეტებს, რომ მოცემულ შემთხვევაში “GDPR”-თან შესაბამისობის შეფასების ერთადერთი მიზანია მხოლოდ დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების დადგენა და შესაბამისი ზომების დაწესება.

ფოტო: siliconrepublic.com

გარდა ამისა, “CJEU” აღნიშნავს, რომ “Meta Platforms Ireland”-ის მიერ განხორციელებული მონაცემთა დამუშავების მოქმედება ასევე ეხება მონაცემთა განსაკუთრებულ კატეგორიებს, რომლებმაც შეიძლება გამოავლინონ, რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობა, პოლიტიკური შეხედულებები, რელიგიური შეხედულებები ან სექსუალური ორიენტაცია და რომელთა დამუშავება მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით არის შესაძლებელი “GDPR”-ის თანახმად. ეროვნული სასამართლოს გადასაწყვეტია, რამდენად შესაძლებელია, რომ ზოგიერთმა შეგროვებულმა მონაცემმა რეალურად დაუშვას ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება, იმის მიუხედავად, ეს ინფორმაცია ეხება

აღნიშნული სოციალური ქსელის მომხმარებელს თუ რომელიმე სხვა ფიზიკურ პირს.

რაც შეეხება მონაცემთა სუბიექტის მიერ/მიზეზით გასაჯაროებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების საგამონაკლისო წესით დამუშავებას, სასამართლო განმარტავს, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ მომხმარებელი ეწვია ვებგვერდს ან აპლიკაციას, რომელმაც შეიძლება გამოავლინოს ასეთი ინფორმაცია, არ ნიშნავს იმას, რომ მომხმარებელი აშკარად აქვეყნებს თავის მონაცემებს "GDPR"-ის მიზნებისთვის. გარდა ამისა, აღნიშნული მიდგომა ვრცელდება იმ გარემოებებზეც, როდესაც მომხმარებელი ავსებს შესაბამის მონაცემებს ასეთ ვებგვერდებსა თუ აპლიკაციებში, ან როდესაც მომხმარებელი იყენებს აღნიშნულ ვებგვერდებში/ აპლიკაციებში ინტეგრირებულ ღილაკებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან ცალსახად გააკეთა არჩევანი, რომ მის შესახებ მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს შეუზღუდავი რაოდენობის პირებისთვის.

რაც შეეხება ზოგადად "Meta Platforms Ireland"-ის მიერ განხორციელებულ დამუშავების ოპერაციას, მათ შორის, ე.წ. „ჩვეულებრივ მონაცემთა" (მონაცემები, რომლებიც არ განეკუთვნება განსაკუთრებულ კატეგორიას) დამუშავებას, "CJEU" განიხილავს, მოიცავს თუ არა აღნიშნულს "GDPR"-ში არსებული დასაბუთება, რომელიც იძლევა საშუალებას მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არარსებობის შემთხვევაში განხორციელებული მონაცემთა დამუშავება ჩაითვალოს კანონიერად. "CJEU"-მ დაადგინა, რომ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არარსებობის შემთხვევაში მონაცემების დამუშავება ნებადართულია მხოლოდ მაშინ, როდესაც მონაცემთა დამუშავების თავიდან აცილება ობიექტურად შეუძლებელია, კერძოდ, ხელშეკრულების ძირითადი მიზანი, რომლის მხარეც მონაცემთა სუბიექტია, ვერ იქნება მიღწეული აღნიშნული დამუშავების გარეშე. სასამართლომ მიიჩნია, რომ პერსონალიზებული რეკლამა, რომლითაც "Facebook" აფინანსებს თავის საქმიანობას, როგორც "Meta"-ს ლეგიტიმური ინტერესი, ვერ გაამართლებს სადავო მონაცემების დამუშავებას მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არარსებობის პირობებში.

გარდა ამისა, სასამართლოს განმარტებით, ის ფაქტი, რომ სოციალური ქსელის ოპერატორს, როგორც მონაცემთა დამმუშავებელს, უჭირავს დომინანტური პოზიცია სოციალური ქსელების ბაზარზე, ცალსახად არ გულისხმობს, მომხმარებლისთვის ხელის შეშლას თანხმობის კანონის შესაბამისად გაცემაში. თუმცა, ვინაიდან დომინანტური პოზიცია იწვევს დისბალანსს მონაცემთა სუბიექტისა და მონაცემთა დამმუშავებლის მდგომარეობებს შორის, აღნიშნული დისბალანსი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს იმის დასადგენად, იყო თუ არა თანხმობა ნამდვილი და თავისუფალი ნების საფუძველზე გაცემული. საკითხთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება სოციალური ქსელის ოპერატორს.

„პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფორუმის მომავალმა“ ხელოვნური ინტელექტის შესახებ ხელახალი ანგარიში გამოაქვეყნა

18.07.2023

2023 წლის ივლისში „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფორუმის მომავალმა (“Future of Privacy Forum (FPF)”)“ ხელახლა გამოაქვეყნა ანგარიში - „ხელოვნური ინტელექტის სპექტრი - “FPF”-ის ხელოვნური ინტელექტის ინფოგრაფიკის გზამკვლევი“. ანგარიშის თავდაპირველი ვარიანტი “FPF”-მა 2021 წლის აგვისტოში შეიმუშავა. განახლებული ანგარიში ითვალისწინებს მოწინავე გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების შემუშავებასა და გამოყენებას. 2020 წლის დეკემბერში “FPF” - მა გამოაქვეყნა ხელოვნური ინტელექტის სპექტრი - ინფოგრაფიული ხელსაწყო, რომელიც მიზნად ისახავდა ხელოვნური ინტელექტის სისტემების მრავალფეროვნებისა და სირთულის, ასევე იმ სფეროების წარმოჩენას, რომლებზეც დაფუძნებულია აღნიშნული მეცნიერება. ასევე, ხელსაწყო განიხილავდა ხელოვნური ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევების ნიმუშების მაგალითებს.

ფოტო: fpf.org

ანგარიშის თანახმად, ხელოვნური ინტელექტი გახდა ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, ის გარდაქმნის ადამიანურ ურთიერთობებს, საქმიანობას და გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. ვირტუალური ასისტენტებისა და სარეკომენდაციო სისტემებიდან დაწყებული ავტონომიური მანქანებით და სამედიცინო დიაგნოსტიკით დასრულებული. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. მისი განვითარების პარალელურად, აუცილებელია ვიცოდეთ, თუ როგორ მუშაობს და რა ეთიკური მოსაზრებები ახლავს თან მის გამოყენებას.

განახლებული ანგარიში განიხილავს გენერაციულ ხელოვნურ ინტელექტს უფრო ფართო სპექტრით, ტექნოლოგიის ფუნქციონირებისა და განვითარების შესახებ ფუნდამენტური კითხვების გადაჭრის მიზნით, მათ შორის, ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც შეეხება: გენერაციული ხელოვნური ინტელექტის მიერ პერსონალური მონაცემების გამოყენებას; ინდივიდების უნარს, გამოიყენონ წვდომის, შესწორების ან წაშლის უფლებები; ასევე, ხელმისაწვდომ საშუალებებსა და მეთოდებს არაზუსტი ინფორმაციის გენერირების შესამცირებლად.

ვინაიდან, გენერაციული ხელოვნური ინტელექტი ნელ-ნელა იკავებს დომინანტურ პოზიციას, ისეთი ინსტრუმენტების მეშვეობით, როგორიცაა “Open AI”-ის “ChatGPT” და “Google”-ის “Bard”, იგი ამკვიდრებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ახალ და ტრანსფორმაციულ შემთხვევებს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მათ შორის,

სამუშაო სივრცეში. თუმცა, ასევე, არსებობს რისკები და ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია აღნიშნული სისტემების სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. ყველა სახის ხელოვნური ინტელექტის სისტემისა და მათი ურთიერთკავშირის უკეთ გაგებას სარგებელი მოაქვს ორგანიზაციების, პოლიტიკის შემქმნელებისა და ფართო საზოგადოებისთვის. სწორედ აღნიშნულს ემსახურება ანგარიშის განახლება და გამოქვეყნება.



ფოტო: fpf.org

ანგარიშში განხილულია ხელოვნური ინტელექტის ძირითადი ფორმები, მათ შორის სიმბოლოებზე დაფუძნებული ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება, ასევე, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები და ეთიკური მოსაზრებები.

ანგარიშის თანახმად, ხელოვნური ინტელექტის მრავალი ფორმა არის ადამიანის აზროვნების ან ადამიანის ფიზიკური მოქმედებების მკაფიო ანალოგი, რომლებიც შეიძლება იყოს ინტეგრირებული სისტემებში, რათა დაეხმაროს ადამიანს, გადაამუშავოს ან გადააადგილოს ინფორმაცია უფრო სწრაფად, ზუსტად, თანმიმდევრულად და მეტი მოცულობით, ვიდრე ეს ცალკეული ინდივიდისთვის არის შესაძლებელი. ამას გარდა, ხელოვნური ინტელექტის სისტემებს, ასევე, შეუძლიათ დიდი რაოდენობის მონაცემების დამუშავება შაბლონების დასადგენად, კავშირების დასამყარებლად და შედეგების პროგნოზირებისთვის, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ტრადიციული მონაცემთა მეცნიერებებისა და სტატისტიკური მეთოდების მიერ მიღწეულ შედეგებს.

- **სიმბოლოებზე დაფუძნებული ხელოვნური ინტელექტი** - ტრადიციული, წესებზე დაფუძნებული ხელოვნური ინტელექტი, რომელსაც მივყავართ სიმბოლოებზე დაფუძნებულ ხელოვნურ ინტელექტამდე არის ხელოვნური ინტელექტის კვლევის ყველა მეთოდის კრებული, რომელიც ეფუძნება მათემატიკის, ლოგიკის და კოდირებული პროგრამირების ადამიანისათვის წაკითხვად გამოხატულებებს (სიმბოლოებს). სიმბოლოებზე დაფუძნებული ხელოვნური ინტელექტის სისტემები წარმოადგენს პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯებს ისეთი მანქანების შექმნისკენ, რომლებიც შეძლებენ კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღებას ან დასაბუთებულ მსჯელობას სირთულეებისა და გაურკვევლობის დროს. არსებობს რამდენიმე ალგორითმული დიზაინი, რომლებიც ზოგადად განიხილება სიმბოლოებზე დაფუძნებული ხელოვნური ინტელექტის მაგალითებად, მათ შორის საძიებო, დაგეგმვითი და ექსპერტული სისტემები.

- **მანქანური სწავლება** - ზემოთ აღწერილი ხელოვნური ინტელექტის ტიპები კომპიუტერებს აძლევენ შესაბამის ბრძანებებს, თუ როგორ უნდა გადაიტანონ ინფორმაცია ადამიანების მიერ შემუშავებული წესებისა და პროცესების მიხედვით, როგორიცაა ენა ან მათემატიკა. მანქანური სწავლება განსხვავებულია აღნიშნული სისტემებისგან. მანქანური სწავლება მუშაობს წესების საწყისი კომპლექტის (პროგრამირების) გამოყენებით კავშირებისა და შაბლონების დასადგენად, რომლებიც შემდეგ გამოიყენება ინსტრუქციების შიდა რედაქტირების ან დამატებითი წესების შესაქმნელად. მანქანურ სწავლებას განსაკუთრებით ძლიერს ხდის კომპიუტერები, რომლებიც იყენებენ წარსულში ჩატარებული ანალიზის შედეგებს შემდგომი გამოთვლების გასაუმჯობესებლად ან შესრულების დანაკარგის შესამცირებლად. მანქანური სწავლება ამარტივებს ხელოვნური ინტელექტისთვის ტრადიციულად რთულ ამოცანებს, როგორიცაა გამოსახულების ამოცნობა, და უზრუნველყოფს მუდმივად ცვალებადი ინფორმაციის ნაკადების ანალიზის შესაძლებლობას.
- **თანმხლები რისკები** -ანგარიშის თანახმად, ხელოვნური ინტელექტის მომავალი საბოლოოდ იმ მიზნებსა და სისტემებში მდგომარეობს, რომლისკენაც ადამიანები მიმართავენ მას. პასუხისმგებლიანი გამოყენება უნდა მოიცავდეს ხელოვნური ინტელექტის ორ ძირითად საფუძველს: ადამიანის ცოდნის შემდგომ წინსვლასა და ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებას. ხელოვნური ინტელექტი არის ცოდნის განვითარების გზა არაერთ სამეცნიერო დისციპლინასა და კომერციულ ტექნოლოგიაში, მაგრამ ასევე გასათვალისწინებელია არაეთიკური გამოყენებისა და უსამართლოდ შემუშავებული ლოგიკის თანმხლები რისკები, რამაც შესაძლებელია გააუარესოს ინდივიდების ან ადამიანთა ცალკეული ჯგუფების ცხოვრება. თუმცა, ანგარიშის ავტორები მიიჩნევენ, რომ ხელოვნური ინტელექტის სარგებელი ძალზე მნიშვნელოვანია, თუ საკმარისი ძალისხმევა იქნება გაწეული უფრო დიდი სოციალური სიკეთის მისაღწევად და სამართლიანი და სასარგებლო ზემოქმედების უზრუნველსაყოფად.

(+ 995 32) 242 1000
office@pdps.ge
www.pdps.ge